ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1520676

ნომერი: AR1253723

თარიღი : 26.09.2014

გაცემის თარიღი : 02.10.2014

გაცნობის თარიღი : 02.10.2014

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი გურამიშვილი , N 2/9 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- გურამ ლემონჯავა პ/ნ 01030037214
- თბილისი ე.ნინოშვილის ქ. N 47

ორგანიზაცია:
- შპს "ფურშეტ ჯორჯია" კოდი: 404415897

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების

თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლის პასუხადაც გაცნობებთ შემდეგს:

ქ. თბილისის 2008 წლის 22 დეკემბრის #24.16.832 დადგენილებით დამტკიცებული სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის დებულების მე-2 მუხლის "ა" ქვეპუნქტის მიხედვით სამსახურის საქმიანობის ძირითადი მიზანია მის კომპეტენციას მიკუთვნილ საკითხებთან დაკავშირებით ქ. თბილისის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებში ერთიანი საჯარო ხელისუფლების განხორციელება. მე-3 მუხლის პირველი პუნქტის "ფ" ქვეპუნქტის თანახმად სამსახურის უფლებამოსილებაში შედის ქალაქის ფუნქციური ელემენტების განვითარების პროცესის მოდელირება, ურბანული ქსოვილის ცალკეული მახასიათებლების ანალიზი, საპროექტო ვარიანტების და მიღებული გადაწყვეტილებების შეფასება. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის, "დ" ქვეპუნქტით სამსახურს თავის ფუნქციების შეუფერხებელი განხორციელების მიზნით უფლება აქვს უზრუნველყოს ქალაქის ცალკეულ ტერიტორიათა კეთილმოწყობის, გარე გაფორმების ელემენტების (მთ შორის მონუმენტურ-დეკორატიული) მცირე არქიტექტურის ფორმების, ძეგლების, ქანდაკებების, "გარე რეკლამის გავრცელების რეგულირების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2006 წლის 29 დეკემბრის #4-32 გადაწყვეტილებით დადგენილი გარე რეკლამის მხატვრული იერსახის და განვითარების განხილვა-შეთანხმება, მათი განხორციელება; იმავე პუნქტის "ე" ქვეპუნქტით სამსახურს უფლება აქვს განიხილოს შენობა ნაგებობის ექსტერიერებისა და ინტერიერების პროექტები, მოახდინოს ფერთა შეთანხმება. სამსახურის უფლებამოსილებიდან გამომდინარე (გადასინჯოს წარმოდგენილი საპროექტო ობიექტების ვიზუალური მხარე და მისი შემდგომი განვითარების კუთხე) და ვინაიდან აღნიშნული ობიექტი განთავსებულია ქალაქის გეგმარებით კარკასზე, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შენობა-ნაგებობებს და მათზე განთავსებულ კონკრეტული დეტალების ვიზუალურ მხარეს, ამასთანავე გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ამჟამად არსებული შენობა გარკვეულწილად ჩამოყალიბებული იერსახის მატარებელია და წარმოადგენს ერთ მთლიან არქიტექტურულ ელემენტს, მისი ვიზუალიზაციის ცვლილება არქიტექტურის სამსახურს მიზანშეწონილად არ მიაჩნია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური თქვენს მოთხოვნას სარეკლამო აბრის განთავსებაზე თანხმობის გაცემის თაობაზე ვერ დააკმაყოფილებს.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge